KA030184798232216

№ 01-19972 18 / ოქტომბერი / 2016 წ.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა
და სოციალური დაცვის მინისტრს
ბატონ დავით სერგეენკოს

სამინისტროს აპარატის (დეპარტამენტის)
უფროსის ნანა ქავთარაძის

მოხსენებითი ბარათი

ბატონო დავით,

მოგახსენებთ, რომ 2016 წლის 24-25 ოქტომბერს, თბილისში ტარდება C ჰეპატიტის ტექნიკურ მრჩეველთა (TAG) ჯგუფის შეხვედრა, რომელზეც განიხილება C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამასთან დაკავშირებული საკითხები, კერძოდ, პროგრამის შეფასება, მიღწევები, არსებული გამოწვევები და აღნიშნული მიმართულებით განსახორციელებელი აქტივობები.

შეხვედრაში მონაწილეობას იღებენ ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი საქართველოში, აშშ დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრების, ნიუ–მეხიკოს, ლუნდის და ბრისტოლის უნივერსიტეტების, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის, ასევე, სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების, სამედიცინო ასოციაციებისა და სამთავრობო სტრუქტურების წარმომადგენლები.

C ჰეპატიტის ტექნიკურ მრჩეველთა (TAG) ჯგუფის შეხვედრა ტარდება აშშ დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრების და ფარმაცევტული კომპანია "გილიადის" ორგანიზებით, ხოლო ქართულ მხარეს ეთხოვა ერთი ვახშმის ორგანიზება მაღალი დონის სტუმრებისათვის.

შესაბამისად, თქვენი თანხმობის შემთხვევაში, გთხოვთ, დაავალოთ ადმინისტრაციულ დეპარტამენტს, ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრთან ერთად უზრუნველყოს 25 ოქტომბერს, ვახშმის ორგანიზება 30 კაცზე.

დანართი: შეხვედრის დღის წესრიგი.

პატივისცემით,

სამინისტროს აპარატის (დეპარტამენტი)
უფროსი

ნანა ქავთარაძე